

ფოლკლორის ცენტრში ღებულ დაღვრილმა, ჰანბად ამოთქმულმა და როკვად განფენილმა სიყვარულმა იღღესასწაულა



ოზურგეთში ამდენი კარგი ლექსის მიტყელო გვყავდა, ნამდვილად არ ვიცოდით. კი, აფიშაზე იყო მონაწილეთა ჩამონათვალი, მაგრამ ამ საგანზეო წერილშიც რომ არ გადმოვიტანოთ მათი სახელგვარები, არ ვიქნებით მართალი: გიორგი ბაბილოძე, თამარ და ანანო ჯაფარიძეები, ელენე ფსიფიშვილი, მარიამ ნიკოლაიშვილი, ნატო ჩიკაშა, გიორგი ქავთარაძე, მარიამ საღრაძე, დავით შუბლაძე, თეა ჩხაიძე, თამარ ფუტყარაძე, შოთა ბერიძე, თორნიკე შერვაშიძე, ეთუნა ბარამიძე, ნიკა ხარაბაძე, ზურა თაფლიანი, ბარბარე ზავთასი, ანანო ჭონიძე, ივანე ჭანტურია, თორნიკე კვაჭანტირაძე, ირინე ჩანჭიძე, საბა და თომა დანელიძეები, ილიკო კახიანი, ანანო შენგელია, ლუკა ქლიფთაძე, ნინო ლიპარტიანი, ამირან უნგაძე, ნინო კიკვაძე, მიხეილ

მესხიშვილი, მარიამ მენაბდე, ბადრი ჩხაიძე — ეს ის ბავშვებია, ვინაც ფოლკლორის სახლის თაღიდან ცად გატყორცნეს ლექსად დაღვრილი, ჰანბად ამოთქმული და როკვად განფენილი ქართული სიყვარულის პოეზია. ზოგიერთ შემთხვევაში გვერებოდათ სცენაზე თვით ქართველი კლასიკოსი პოეტი, ამა თუ იმ შედეგის ავტორი იდგა და არა რომელიმე კონკრეტული ბავშვი. ისედაც სურპრიზული საღამოს, ალბათ, ყველაზე დიდი სურპრიზი იყო მამა ბასილის (კვირილაძე) ასაღადაქორწინებულის ქალიშვილის ლირიკული, სულის სამშენისი პოეზია, რომელიც თვით ავტორმა გაგვაცნო. უბედლო „ქართული“ არუბა მყურებელს ვუბნებ ღუნღუნას სახელობის სახელმწიფო ანსამბლ „კურის“ (ხელმძღვანელი კობა ღუნღუნა) ულამაზესმა წყვილმა.



ალიონი. 16 მაისს საქართველოს ფოლკლორის ოზურგეთის სახელმწიფო ცენტრში ოჯახური სიწმინდის დღისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო „სიყვარულის დღესასწაული“ იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ დიდხანს არ დაავიწყდება საზოგადოებას.

წერილზე მუშაობისას „სიყვარულის დღესასწაული“ კინალამ უნაკლოდ მოენათლეთ, უნაკლო კი არა, განუმეორებლად შესანიშნავი, „ბრავოს“ დამსახურებული ღონისძიება იყო. სატონად დღეს პოეზია ბევრი წარმოაჩენს, მაგრამ თუ

რაც შეეხება ღონისძიების ორგანიზატორს, რეჟისორსა და წამყვანს, გული ნიკოლაიშვილს, მასზე სათქმელი მამა ბასილმა დავასწრო, როცა მისასაღებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ ეს ღონისძიება არის სცენაზე გულოს დაბრუნება. თეატრის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატის, ქალბატონი გული ნიკოლაიშვილისგან სწორედ ასეთ ღონისძიებასა და საღამოებს მოელის საზოგადოება.

ა ღ ღ ი რ ი ნ ი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გა ზ ე თ ი .
 ყოველკვირეული გამოშვება. № 20 (10313) 20 მაისი, 2019 წ. შპს-ი 60 თეთრი.

ჯუმათში აღმოსავლეთის მხარეში გაზიფიცირების მოთხოვნით გზა გადაკეთეს



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯუმათში აღმოსავლეთის მხარეში გაზიფიცირების მოთხოვნით გზა გადაკეთეს. მოსახლეობას გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე აკაკი შენგელია, მერი კონსტანტინე შარაშენიძე და მერის მოადგილე ოსიკო თოთიაძე შეხვდნენ. „გამომდინარე იქედან, რომ მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებს სცდება სოფლებში გაზიფიცირების მოვარების საკითხი, ჩვენ მზად ვართ გიმუშაოთ კომპანია „სოკართან“, რათა აღნიშნული პრობლემა შესაძლებლობის ფარგლებში დროულად იქნას მოგვარებული“ — აღნიშნა კონსტანტინე შარაშენიძემ. აღსანიშნავია, რომ

პროექტები და ტენდერები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარის მოადგილე გიორგი ღურჯუაშვილი და მე ხშირად ერთად ვმზავრობთ ანასეულიდან, რა თქმა უნდა, გიორგის ავტომობილით. გზაში ბლიც-დალოგებსაც ვმართავთ ქალაქში ჩამოსვლაზე. გასულ პარასკევს პროექტებსა და ტენდერებზე ჩამოვიდეთ სიტყვა, შესამჩნევად სასიკეთო ტენდენცია შეინიშნებაო, მითხრა. — რაში გამოიხატება-მეთქი? — კვითხე. — ანასეულის წყალსადენზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული რომ გამოვლინდა, გეცოდინება, აგერ, ახლა კი ისტორიული მუხუშის შენობის რეაბილიტაციაზე გამოცხადდა ტენდერი, სხვა ბევრი სიახლეცაო, — დასძინა და თეატრის მიმდებარე მანქანა შემინჯრა.



„გამზადებით პროექტს, რომლითაც მოხდება ე.წ. გამორჩენილ ქუჩებზე წყალმომარაგების სისტემების მოწყობა“

ოზურგეთში წყალმომარაგების საკითხთან დაკავშირებით, „ალიონი“ გასულ პარასკევს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების“ ოზურგეთის რეგიონული ფილიალის ხელმძღვანელს დავით ცერცვაძეს შეხვდა. ცერცვაძის თქმით, ამ დროისთვის წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია მიმდინარეობს შემოქმედლის და ლომთათიძის ქუჩებზე. კეთდება მთლიანად ახალი მაგისტრალი. სარემონტო მონაკვეთზე საერთო სიგრძე დაახლოებით ორკილომეტრს შეადგენს. „აქ იყო ყველაზე რთული მდგომარეობა. დავიწყეთ სარეაბილიტაციო სამუშაოები. საქმის ნახევარი უკვე გაკეთებულია. სამუშაოები სავარაუდოდ თვის ბოლომდე დასრულდება. ისე გვინდა გავაკეთოთ, რომ მოსახლეობას რაც შეიძლება ნაკლები დისკომფორტი შეეუქმნათ. რაღაც მონაკვეთს გავაკეთებთ, ჩაერთავთ წყალს. შემდეგ გადავდივართ ახალი მონაკვეთის გაკეთებაზე. მოსახლეობაც გაგებით ეკიდება შეფერხებებს. გასათვალისწინებელია ის, რომ პარალელურად გზაც იგება. რომ არ მოხდეს ისე, რომ ახალგაქეთებული გზა დასანგრევი გახდეს, კომუნიკაციების გაკეთებისთვის მერიასთან შეთანხმებულად ვმუშაობთ, პარალელურ რეჟიმში, ისინი გზას აგებენ ჩვენ წყალი გავყავს. ამავე დროს, ახლა ვამზადებთ პროექტს რომლითაც მოხდება ე.წ. გამორჩენილ ქუჩებზე წყალმომარაგების სისტემების მოწყობა. ისეთ ჩიხებსა და შესახვევებზეა საუბარი, სადაც წყალი საერთოდ არ ყოფილა. ასეთი ადგილები უმეტესად ზვანის ტერიტორიაზეა. არის მოიდანახეზეც ერთი პატარა მონაკვეთი - ჯანაშიას ქუჩა“ — აღნიშნა დავით ცერცვაძემ.



ლ

გვ-2

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთვით გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- განხილვა, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწარები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
 nugzarasatiani@rambler.ru
 558 499100
საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
 tem52@mail.ru
 599 373515
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
 gia_77@mail.ru
 551 576060
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩხაბათი აღიონზე
 «ალიონით»

პროექტები და ტენდერები

„საბა“ (თბილისი), რომელიც მღვდელმთავარს ამ ობიექტზე სამშენებლო სამუშაოს.
 - ქალაქ ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის ორი კორპუსის რეაბილიტაციაზე გამოცხადებული ტენდერი შეადგენდა 3 384 491 ლარს, 3 200 000 ლარით ტენდერის გამარჯვებული გახდა შპს „ქართული სამშენებლო ჯგუფი“. ამ ტენდერში ამსანაგობა „ბეგიმ“ მიიღო დისკვალიფიკაცია ტექნიკური დოკუმენტაციის გამო. იჯებება ტენდერი ამ სკოლის მესამე კორპუსში ტექნოპარკის პროექტირებაზე.
 - 13 მაისს, ღირებულებით 1 480 340 ლარი, ტენდერი გამოცხადდა ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის შენობის რეაბილიტაციაზე. წინადადებების მიღება 21 მაისიდან დაიწყო და 5 ივნისამდე გასტანს.
 - გამოცხადებულია ტენდერი ქალაქ ოზურგეთის კულტურისა და დასვენების პარკის, ძველი პოლიციის შენობის მიმდ-

ბარე პარკისა და თეატრის გვერდით მდებარე ბაღის (ე. წ. „სამკუთხას“ სტადიონის ჩათვლით) პროექტირებაზე. ამ უკანასკნელის პროექტირებისას გათვალისწინებული იქნება მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების აზრი.
 - ველოდებით ტენდერის გამოცხადებას ბახვის, ცხელიისხიდის, ვაკეკვირის წყალმომარაგების რეაბილიტაციაზე ღირებულებით 9 300 000 ლარი.
 - არჩილ თაღაჯაძის საფირმო პროექტება ასკანის ციხისა და ექვდიის პარკის რეაბილიტაცია.
 - დაგეგმილია ქალაქში, ზვანში რაგბის სტადიონისა და სოფელ ბახვში საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაცია. მღვდელმთავარს ტენდერი ამ ობიექტების პროექტირებაზე.
 - შესაბამისი სამსახურების ჩართვით, იდეის დონეზე გადასახდების მოწყობა ჯუმათის, კონკვათისა და ლიხაურის ეკლესიებთან.

თამაზ მარშანიშვილი

სახელმწიფო რეზუმეზულის აღმინისტრაციაში სამუშაო შესვენრა გაიმართა



გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ გეოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლები, გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეებს აკაკი შენგელიას, ქეთევან მოისწრაფეშვილს, გაი ებრაღიმეს და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებს შეხვდნენ.
 გეოლოგიის დეპარტამენტის სპე-

ციალისტებმა, დამსწრე საზოგადოებას რეგიონში 2018 წელს, სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და 2019 წელს მოსალოდნელი პროგნოზები გააცნეს. შეხვედრაზე მხარეებმა რეგიონში ბუნებრივი საფრთხეების კუთხით არსებული პრობლემები განიხილეს და სამომავლო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი - გურიისში



ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში შაბთაი ცური ჩონატაურში იმყოფებოდა. ელჩი, გურიისში სახელმწიფო რწმუნებული ზურაბ ნასარაია, რწმუნებულის მოადგილე აკაკი შენგელია, ჩონატაურის მუნიციპალიტეტის მერი ირაკლი კუჭუა, საქართველოსა და ისრაელის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილ თავისუფალი ჭიდაობის ტურნირის დაესწრნენ.
 ტურნირი მუნიციპალიტეტში ტრადიციულად დაიწყო და უკვე მეხუთე წე-

ლა, არასამთავრობო ორგანიზაცია „SHALOM CLUB GURIA“-ს ინიციატივით, ისრაელის საელჩოს, ჩონატაურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით ტარდება. შეჯიბრში გამარჯვებული სპორტსმენები ისრაელის ელჩმა, მხარისა და თვითმმართველობის ხელმძღვანელებმა დაავილოდეს.
 მხარეებმა, სამსახურო სკოლაში ქართულ-ებრაული ურთიერთობების თემაზე შესრულებული საბავშვო გამოფენა დათვალიერეს და საბავშვო სკოლის მოწვევების კონცერტსაც დაესწრნენ.

„ვაგზადებით პროექტს, რომელიც მოხდება ე.წ. გამორჩენილ ქუჩებზე ფხალმომარაგების სისტემების მოწყობა

ჩა. ასევე სულხან-საბას ბოლო მონაკვეთი, ჯორჯიაშვილის ქუჩის შესახვევი. ასე მიუყვებით პრიორიტეტების მიხედვით რამდენის ფინანსური შესაძლებლობაც გვექნება.“
 როგორც დავით ცერცვაძე ამბობს, ანასუელში წყალმომარაგების ახალი ქსელის მოწყობა მომავალი თვიდან დაიწყება:
 „ანასუელში წყალმომარაგების ახალი ქსელის მოწყობა, სავარაუდოდ მომავალი თვიდან დაიწყება. ფაქტიურად ძველი სისტემიდან არაფერი დარჩება. იცვლება ყველაფერი, ყველა მილიგაკეთდება სათავე ნაგებობა,

ოთხი ჰაბურდელი, ორი 330-კუბურმეტრიანი რეზერვუარი და მთლიანად გამანაწილებელი ქსელი. ყველა მოსახლემდე მივა წყალი, ამასთანავე მოხდება გამრიცხველანება“
 პროექტის ღირებულება 6 800 000 ლარია. სამუშაოს ტენდერში გამარჯვებული შპს „საბა“ განახორციელებს. „ტენდერში გამარჯვებული ახლახანს გამოვლინდა. ხელშეკრულების გაფორმებას თავისი პროცედურები აქვს. ამ თვეში დასრულდება პროცედურული საკითხები. სავარაუდოდ მომავალი თვიდან ველოდებით მშენებლებს“.

ოჯახის სიფინდისა და სიმტკიცის დღე ოზურგეთში ღონისძიებით აღინიშნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის - განათლებისა და გენდერულ საკითხთა განყოფილების ორგანიზებით, ოჯახის სიმტკიცის დღე ღონისძიებით აღინიშნა, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები ოჯახებით დაესწრნენ.
 შეხვედრას ოზურგეთის საკათედრო ტაძრის წინამძღოლი მამა ბასილი (კვირიჩილაძე) და ოზურ-

კურს „ჩემი ოჯახის“ მონაწილე სამხატვრო სკოლის მოსწავლეები, რომლებსაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ პროექტში აქტიური მონაწილეობისთვის სივრცეები და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.
 ოჯახის სიმტკიცის დღე მუსიკალურად ანსამბლმა „რეხეულმა“ გააფორმა.
 - „ცხოვრების მთავარი აზრი ოჯახი და ოჯახური კეთილდღეობაა. მუდღეობს შორის პატივისცემა, შვი-



გეთის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი მარინა ჯაფარიძე უძღვებოდნენ.
 სიტყვებით გამოვიდნენ გურიის გუბერნატორი ზურაბ ნასარაია, ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, სოფელ კვირიკეთის ეკლესიის მოძღვარი, მამა მათე და ოზურგეთის საკათედრო ტაძრის მოძღვარი მამა ერმალოსი და სხვები.
 ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ სხვა სასულიერო პირები და მრავალშვილიანი ოჯახები, ასევე კონ-

ლების მშობლებსადმი მოკრძალება ოჯახურ ერთობას განაპირობებს. ეს ერთობა განსაკუთრებულად მრავალშვილიან ოჯახებში იგრძნობა. მე ოთხი შვილის მამა და ორი შვილიშვილის ბაბუა ვარ, ეს მაძლევს ყველა სირთულის დაძლევის ძალას, გილოცავთ ამ დღეს და შვილთა სიმრავლეს გისურვებთ,“ - აღნიშნა მერმა.
 17 მაისი ოჯახის სიმტკიცის დღედ, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა 2014 წლის 11 მაისს დააწესა.

შესვენრა აბიტურიენტებთან

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით ოზურგეთში აბიტურიენტებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მიზანი აბიტურიენტთა მეტი ინფორმირება იყო. მომავალ სტუდენტებს ცენტრის დირექტორმა სოფო გორგოძემ და სხვა წარმომადგენლებმა გამოცდების სიახლეებთან და სხვა მნიშვნელოვან საგამოცდო პროცედურებთან დაავილოდეს და დაეხმარებოდათ. შეხვედრის მერე ნახევარში სტუდენტმა მეთორმეტე კლასელების დასმულ კითხვებს უპასუხეს.



საინფორმაციო შეხვედრები აბიტურიენტებთან მარტის თვიდან დაიწყო და თბილისში, გორში თელავში, მარნეულში, ახალციხეში, ახალქალაქში, ბათუმსა და ქუთაისში გაიმართა.

ადგილობრივი თვითმმართველობა 100 წლის წინ

აღმოაჩინა უცნობი მემკვიდრეობა



2018 წელს პირველი დემოკრატიულად არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობების შექმნიდან 100 წელი

გავიდა, 100 წლის წინ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეიქმნა თვითმმართველი ქალაქები, თვითმმართ-

ველი მხარეები და წვრილი სათემო თვითმმართველობები. ამ თემასთან დაკავშირებით, 15 მაისს ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში გაიმართა გამოფენა, ისტორიკოსების **ირაკლი ზვადაციანი** და **დავით ლოსაბერიძის** მცირე ლექსები და დოკუმენტური ფილმის „ინიციატივა არ ისჯება“ ჩვენება. დოკუმენტური ფილმი XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში, სათემო ინიციატივებისა და თვითორგანიზებული მოძრაობების განვითარებას შეეხებოდა. სიტყვებით გამოვიდნენ გურიის გუბერნატორი **ზურაბ ნასარაია**, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია**, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **კონსტანტინე შარაშენიძე**.

1918-21 წლების თვითმმართველი ორგანოების შესახებ მასალები, რომლებიც ეროვნულ არქივში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის საზოგადოებრივ არქივშია დაცული; მასალები თვითმმართველობის პირველი არჩევნების ისტორიის შესახებ - საარჩევნო სიები და ბოულეტენების ნიმუშები, მოსახლეობის რაოდენობის სტატისტიკის ამსახველი დოკუმენტები. გამოფენაზე დარიდება **დავით ლოსაბერიძის** მიერ მომზადებული ნაშრომი - „ადგილობრივი თვითმმართველობა 100 წლის წინ“ და **ირაკლი ზვადაციანის** (საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია) ნაშრომი „ეროზა“.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნა საქართველოს ეროვნულ არქივში

დაცულ წარმოდგენილ მასალებზე ისტორიკოსებმა დავით ლოსაბერიძემ, ირაკლი ზვადაციანმა და ირაკლი ირემაძემ იმუშავეს. ექსპოზიცია იმართება გერმანია-საქართველოს ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, გერმანიის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ფედერალური სამინისტროს (**BMZ**) და კვებითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (**GIZ**) მხარდაჭერით, გამოფენას მხარს უჭერს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, გამოფენის პარტნიორი საქართველოს ეროვნული არქივი, რეგიონებში გამოფენების ორგანიზატორია საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია.

დიდი სახეები პატარა გურიიდან



„გურულებს შრომის სიყვარულს გვიწუნებენ. ასე ამბობენ: ზარმაცები ხართ და იმიტომ ხართ ღარიბებიო.“

გურულებს ლაზღანდარობის მეტი არაფერი შეეძლიათო“.

ამონაწერი ფეისბუქიდან.

ვინც გურულებზე ბრძანა, ლაზღანდარები არიანო, გადმოიღოს ქართული ენციკლოპედია, საგულდაგულოდ წაიკითხოს და ამის შემდეგ იმსჯელოს გურულების სიკაცარეზე.

მარტო ის რად ღირს, 1918 წელს, როდესაც საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსდა, დამარსებულთა 15-კაციან სამეცნიერო საბჭოში ოთხი დიდი გურული შედიოდა:

ექვთიმე თაყაიშვილი – ღვთის კაცი, აკაკი შანიძე, **კორნელი კეკელიძე-ფილიპე გოგიჩაიშვილი** და მეხუთე – ახალგაზსნილი უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტის დამარსებელი და ამ ფაკულტეტის დეკანი მრავალი წლის განმავლობაში, ცნობილი პროფესორი, ნოვატორი **ივანე თიკანაძე**.

გადავიდეთ სასულიერო პირებზე: **გაბრიელ ქიქოძე** და **კალისტრატე ცინცაძე**, მრავალ სხვათა ერთად.

მწერლებიდან: **მამია გურიელი**, **გერონტი ქიქოძე**, **ევნატე ნინოშვილი**, **ჭოლა ლომთათიძე**, ჩვენი დროის, მთელი ეპოქის შემქმნელი, ნამდვილი სახალხო მწერალი, **ნოდარ ღუმბაძე**.

პოეტებიდან: პოეზიის დელოფალი **ანა კალანდაძე**, ცნობილი პოეტი **მორის ფოცხიშვილი** და მრავალი სხვა.

გავისწინოთ დიდი მეცნიერებიდან ენათმეცნიერი **ნიკო მარი**, **პავლე ინგოროყვა**, **ნიკო ბერძენიშვილი**, **ვიქტორ კუპრაძე**, **ალექსანდრე ბარამიძე**, **სიმონ ჯანაშია** ოზურგეთის რაიონ სოფელ მაკანეთიდან, დღით გურული; კრიტიკოსი **შალვა რაიანი** სოფ. დვაბზუდან, **მინდია სალუქაძე** –

ფიზიკოსი, ქართველი სპეციალისტი ავტომართვის დარგში. ცნობილია „სალუქაძის მეთოდი“, „სალუქაძის ამოხსნა“, „სალუქაძის პრინციპი“ და ცნობილ მეცნიერთა შორის მრავალი სხვა...

გურიის პირველი რესპუბლიკის შემქმნელები 1905 წელს და მათი ხელმძღვანელი, კაცი-ლეგენდა, **ბენია ჩხიკვიშვილი**, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის პირველი ეროვნული გმირი **ვალოდია გოგუაძე**.

ხელოვნებაში: დიდი მოქანდაკე, **მერაბ ბერძენიშვილი**. ცეკვის ჯაღოქარი, ქალი-ლეგენდა **ნინო რამიშვილი**, **ბუხუტი დარაზველიძე**. თანამედროვეთაგან „ცეკვის ქურუმი“ **გელდი ფოცხიშვილი**. მის მიერ შექმნილი ცეკვის აკადემიის „მეტეხის“ „მფრინავმა ბიჭებმა“, თავიანთი „ცეცხლოვანი ცეკვებით“, მსოფლიო დაიპყრეს.

დიდი მგალობელი **ფილიმონ ქორიძე**, რომელმაც ქართველ მომღერალთა შორის, პირველმა გაჭრა ფანჯარა ევროპაში, გახდა მსოფლიო ღონის მომღერალი, წარმატებით მოღვაწეობდა იტალიაში, კერძოდ, მილანის საოპერო თეატრში და ასევე უცხოეთის მრავალი ქვეყნის საოპერო თეატრებში, მათ შორის, ამერიკაშიც. წარმატების ზენიტში მყოფმა, მიატოვა თავისი ტრიუმფალური კარიერა, ჩამოვიდა მშობლიურ გურიაში იმისათვის, რომ ქართული საგალობლები შეეკრება და გადაერჩინა, რომელიც განადგურების პირას იყო უკვე მისული. სოფელ-სოფელ ფეხით დადიოდა, თვით მიუვალ ადგილებშიაც კი, პროფესიონალ მგალობლებს ეძებდა, იწერდა. დიდი ვაი-წვალებით შეძლო 5600 საგალობლის ჩაწერა და შთამომავლობისთვის დიდი საგანძურის დატოვება, მოუხდავად იმისა, რომ ჩანაწერების დიდ ნაწილს საგულდაგულოდ უნადგურებდნენ, მას გამუდმებით იწვევდნენ უცხოეთის ქვეყნები მათთან სამოღვაწეოდ, მაგრამ ბატონმა ფილიმონმა სამშობლოსთვის ეროვნული საქმის კეთება ამჯობინა ყველაფერს! მისი მიბაძვით, ძებმა კარბელაშვილებმაც დაიწყეს იგივე სამშობლოშილილი საქმის კეთება კახეთში და 1500-მდე საგალობელს მოუყარეს თავი.

ბატონ ფილიმონის საქმის გამგრძელებლები, გურული საგალობლების და სიმღერების კორიფეები, **ერქიამიშვილების საგვარეულო**,

ოჯახებით და მრავალი სხვა გამოჩენილი პიროვნებები ოჯახებითურთ ამ დარგში.

კინორეჟისორები: **ალექსანდრე წუწუნავა**, **სიკო დოლიძე**, **რეზო ესაძე**, **ლევლა გორდელაძე**.

სახალხო არტისტები: **სესილია თაყაიშვილი**, **სანდრო ჟორჯოლიანი**, **აკაკი ვასაძე** და გურულ მსახიობთა მთელი პლეადა.

დიდი სპორტსმენებიდან: ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო ლუმბაძე**, „ფეხბურთის კარუზოდ“ წოდებული **ბორის პაიჭაძე!**

კომპოზიტორებიდან: სრულიად ახალგაზრდა, უკვდავი ოპერა „ქეთო და კოტე“ შემქმნელი, 27 წლის **ვიქტორ დოლიძე**. რომ დასცლოდა, ვინ იცის კიდევ რამდენ შედეგს შექმნიდა, **სულხან ცინცაძე**, მუსიკალური შემოქმედების ყველა უმთავრესი ჟანრის კომპოზიტორი. პროფესორი. საქართველოს ვ.სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი 1965–84 წლებში. 1984 წლიდან საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე. რამდენიმე ოპერისა და ბალეტის ავტორი. ყველა მათგანი იდგმობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის სცენაზე. ქართული მხატვრული ფილმების მუსიკალურად გამგორმებელი. ქართული ჰიმნის შემქმნელი **იოსებ კვცყამაძე** და სხვები.

მხატვრებიდან: ქართველ ხელოვანთა საზოგადოების ერთ-ერთი დამარსებელი 1916 წ. და მისი ხელმძღვანელი, **დიმიტრი შევარდნაძე**, 1920 წ. საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ეროვნულ სამხატვრო გალერეას. დიდი ღვაწლი მიუძღვის თბილისის სამხატვრო აკადემიის, შემდეგ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის („მეტეხის“) დაარსებაში. სახალხო მხატვარი, ფერმწერი და გრაფიკოსი **მოსე თოიძე**, ასევე ფერმწერი-გრაფიკოსი ვაჟით, **ირაკლი თოიძით**, რომელიც ერთიანი საბჭოთა ქვეყნის მასშტაბით აქტუალური პლაკატების ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება. მის მრავალ შედეგთა შორის, მსოფლიო პოპულარობა მოიხვეჭა, მის მიერ შექმნილი **პლაკატმა** – მოწოდება: „**ადედა – სამშობლო გვიხმობს!**“ სადაც ომის დაწყების ინფორმაციით შეძრული, აღმოფთვებული, ოთახში შევარდნილი, ხელებაწეული, ძრისხანე სახის

„გურულებს შრომის სიყვარულს გვიწუნებენ. ასე ამბობენ: ზარმაცები ხართ და იმიტომ ხართ ღარიბებიო.“ გურულებს ლაზღანდარობის მეტი არაფერი შეეძლიათო“.

ამონაწერი ფეისბუქიდან

გამომეტყველებიანი დედა ჰყავს დახატული, როდესაც მან ირაკლის ეს საშინელება აცნობა! ბატონი მოსეს ქალიშვილი, ცნობილი მსახიობი **მურა თოიძე**. მის მიერ შესრულებული ცეკვა „ქართული“, ფილმ „ქეთო და კოტეში“, დიდ ილიკო სუხიშვილთან ერთად, შედეგია! ერთი ოჯახიდან სამი დიდი პიროვნება! როგორია?!

ცნობილია, რომ გურულმა მოჯირითებმა პირველებმა გაჭრეს ფანჯარა აშშ-ში და ევროპის სხვა ქვეყნებში, თუნდაც ინგლისსა და საფრანგეთში, სადაც თავიანთი „მარულათი“ მსოფლიო გააოცეს.

გურული გლეხის საქმიანობაზე მეტყველებს, წარსულში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, თავიანთი უხვმოსავლიანობით განთქმული, შრომის ორდენოსანი გურიის სოფლები, განსაკუთრებით კი შრომა და ნატანები, **მისაკო ორაგველიძის** და **გივი წითლიძის** ხელმძღვანელობით!

მეორე მსოფლიო ომში მარტო ოზურგეთის რაიონიდან იქნა გაწვეული 11635 მეომარი, მათ შორის უამრავი არასრულწლოვანი მოხალისე. გაწვეულთაგან, ნახევარზე მეტი მინ არ დაბრუნებულა, ნაწილი ხეიბრად დაბრუნდა და ძალიან ცოტა შედარებით ნორმალურად. ბევრ მათგანს გმირი გენერლის წოდება მიენიჭა, ზოგს სიკვდილის შემდეგ.

იგივე სურათია ლანჩხუთიდან და ჩოხატაურიდან. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებიდან მცირე ნაწილია შემორჩენილი. დღევანდელი და ჯანმრთელობა ვუსურვოთ მათ! ქვეყნისთვის მშვიდობის მომპოვებლებს!

თავგანწირვით მონაწილეობდნენ ახალგაზრდა ვაჟკაცები გურიიდან საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. იქაც ბევრი გმირულად დაიღუპა, ხეიბრად დაბრუნებულ გმირთა რაოდენობა მრავალადაა, შედარებით ნორმალურად მყოფ გმირთა რაოდენობა ძალიან მცირეა.

ასევე აქტიურობდნენ და დღესაც აქტიურობენ გურული ბიჭები ავღანეთში საერთაშორისო მისიით, მშვიდობის დასამყარებლად, რასაც ბევრი მათგანი კიდევაც ემსხვერპლა! დაბრუნებულ ხეიბართა რაოდენობა აქაც საკმაოა და დაბრუნებულთა შედარებით ნორმალური ნაწილი, ისევე მცირე

რე. თავისი დალი, ყველა მათგანს აზის! დემეტომა ნათელში ამყოფოს ყველა ომში დაღუპულ და მებრძოლ გმირთა სულები! ცოცხლად დარჩენილებს დიდება და ბედნიერება ნუ მოაკლოს დემეტომა! ამინ!

სახალხო გმირებით ხომ ცნობილია გურია საუკუნეების მანძილზე. მათ შორის გავისწინოთ **ბულარა მამალაძე** და **დათიკო შევარდნაძე**, რომელთა გმირობებს სპექტაკლები მიუძღვნეს დიდმა რეჟისორმა მიხეილ ჭიაურელიმ სახელწოდებით „დაჭრილი არწივი“ დარეჟისორ-მსახიობმა პიერ კობახიძემ სახელწოდებით „ბულარა“, სადაც დათიკოს როლს გიორგი შავგულიძე, ხოლო ბულარას როლს გივი ციციქიშვილი და თენგიზ არჩვაძე ასრულებდნენ. დღეს, ბულარა მამალაძის უღამაზესი ძეგლი ჩოხატაურის რაიონის ამშვენებს!

დანარჩენ უამრავ გმირზე სახალხო ლექსები და სიმღერებია შექმნილი, რომლებსაც მთელი საქართველო მღეროდა.

კახეთში მოღვაწე სახალხო გმირი, ხარებაც კი გურული ყოფილა, გვარად ჯიბუტი, რომლის საგმირო საქმეებზე ფილმი-მედეგრი შექმნა რეჟისორმა გიორგი შენგელაიამ „ხარება და გოგია“.

მკითხველს მინდა შევასწინო, რომ ზემოხსენებული უნივერსიტეტის გურულ დამარსებელთა შორის, დიდი ექვთიმე თაყაიშვილი დაკრძალულია მთაწმინდაზე, აკაკი შანიძე და კორნელი კეკელიძე, დაკრძალულნი არიან უნივერსიტეტის ბაღში, დანარჩენ დამარსებელ მეცნიერთა გვერდით, მათივე ბუსტებით საფლავებზე. ჩვენი თაობის ტრადიცია იყო, მათი საფლავების ცოცხალი ყვავილებით შემოკობა.

პატარა გურიას იმდენი დიდი და სახელოვანი მოღვაწე ჰყავს, რომ ყველას ეს პატარა წერილი ვერ დაიტევს. დანარჩენი შემდეგისთვის იყოს. ეს, ვინც მე მყავს მოხსენიებული ზღვაში წვიმა გურულების ღვაწლსა და დამსახურებაზე სამშობლოს წინაშე.

და ბოლოს! ვთხოვთ ყოველ ქართველს, პატივი მიაგოს ზემოხსენებულ უდიდეს პიროვნებებს – კორიფეებს!

მომავალ თაობებს კი შევასწინებ: „არ დაივიწყოთ, ვისი გორისანი ხართ“.

მედეა თიკანაძე

„ბავშვთა ფეხბურთი წარმატების ფუნდამენტი“ ინტერვიუ ლევან კობიაშვილთან



ამ დღეებში სოფელ ბახვში ცნობილი მეცენატის ზვიად ცეცხლაძის სახელობის ტურნირი გაიმართა ფეხბურთში, რომელშიც თბილისის, ბათუმის, ქობულეთის და ოზურგეთის რამდენიმე გუნდი მონაწილეობდა. ტურნირს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ლევან კობიაშვილი** ესწრებოდა. მან ქართული ფეხბურთის განვითარების საკითხებზე გაზეთ „ალიონთან“ ისაუბრა.

ფეხბურთი წარმატების ფუნდამენტი. იმაზე უკეთესს ვიმსახურებთ, რაც ხდებოდა ან ხდება დღეს. მეორე მხრივ, იმასაც ხაზი უნდა გაუკეთდეს, რომ სულ ცოტა ხნის წინ დავიწყეთ ის პროექტი, რომელიც არასდროს არ ყოფილა ჩვენ ქვეყანაში. ეს არის ბავშვთა ფეხბურთის მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც მოიცავს მთელი ქვეყნის მასშტაბით ბავშვთა სკოლების და აკადემიების მხარდაჭერას.

—დამეთანხმებით, რომ ბავშვთა ამ ყველაფერს რასაკვირველია

უნდა გამოყენება. მართო პროგრამა ვერ იმუშავებს თუ არ იქნა კვალიფიცირებული ადამიანები, მწვრთნელები და ა.შ. მაგრამ ფაქტია, რომ დაწყება ძალიან კარგია, ბევრ რაიონში გაუმჯობესდა სიტუაცია, მაგრამ კიდევ უფრო მეტი ყურადღება და მხარდაჭერა საჭირო. ამას მხოლოდ ფეხბურთის ფედერაცია ვერ შეძლებს. მნიშვნელოვანია ადგილობრივ დონეზე იყოს მხარდაჭერები. ფაქტები თუნდა ის, რასაც დღეს ჩვენ აქ ვხედავთ, სოფელ ბახვში, ადასტურებს, რომ ფეხბურთი ყველა რაიონში, ყველა სოფელში არსებობს და იქ არიან ბავშვები, რომლებიც ამით ცხოვრობენ. ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ მათ.

მე პირადად ვაძლევ ყველას პირობას, რომ ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვიყენებთ, რათა დავეხმაროთ ახალგაზრდებს ითამაშონ ფეხბურთი, ისინი ამოვიწიოთ და იცხოვრონ სპორტის ამ სახეობით. მე დარწმუნებული ვარ, ბევრ ნიჭიერ ახალგაზრდას გაუზრდიან ეროვნულ ნაკრებებს. ფაქტია რომ პრობლემები არსებობს, მაგრამ მე დარწმუნებული ვართ რომ ამ პრობლემებს ეტაპობრივად მოვაგვარებთ.

—როგორ შეფასებთ ზვიად ცეცხლაძის ხსოვნის ტურნირს?

—ყოველთვის მნიშვნელოვანია რაიონის, სოფლის დონეზე ბავშვები ითამაშონ ასეთ ტურნირებში. აქ თუნდაც ემოციებს რომ დავაკვირდეთ, მივხვდებით, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვებისთვის ასეთ განწყობა. ეს არის ის რაც გვაკლია და გვჭირდება. რაც უფრო მეტი თამაშები და ტურნირები იქნება ხელი შეეწყობა ამ ყველაფერს. გარკვეული პერიოდი გვქონდა ამის დანაკლისები, მაგრამ ბოლო პერიოდში ყველაფერი არის აქტიურობები. ეს ძალიან სასიამოვნოა.

—როგორ აფასებთ ოთხი ინგლისური კლუბის ევროპული ტურნირის ფინალში ყოფნას?

—ეს ყველაფერი ალბად განაპირობა იმან, რომ ინგლისის ჩემპიონატი ყოველწლიურად უკეთესი ხდება. როგორც რიგითი გულშემოყრისთვის, სანახაობის თვალსაზრისით ვისურვებდი რომ სხვა ქვეყნის გუნდები ყოფილიყვნენ და არ ეს ყველაფერი არ გავდეს პრემიერ ლიგის თამაშს. მაგრამ ფაქტია, რომ ამ გუნდებმა დაიმსახურეს და ღირსეულად არიან ჩემპიონთა ლიგის და ლიგის ფინალში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სად გადის ზღვარი წარმატებულ ლიგებს შორის. იცით რომ ინგლისი ფინანსურად და ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით

ერთ-ერთი საუკეთესოა და ზუსტად ეს დაადასტურეს ამ გუნდებმა.

—ჩვენ ქართულ გუნდებს როდის ვინაობს ევროტურნირებზე?

—სიმართლე გითხრათ, ალბად ჩემზე მეტად ეს არაა ის არ უნდა ამ ქვეყანაში. ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. პირველ რიგში, ისევ ფინანსურ რესურსზე. ფეხბურთი აბსოლუტურად სხვა მიმართულებით წავიდა, რაც სიმართლე გითხრათ, მე არ მომწონს. ფინანსური, თუნდაც სატრანსპორტო თანხებთან დაკავშირებით რაც ხდება ზოგადად ეს არ არის კარგი. სამწუხაროდ, ჩვენი იმის რესურსი არ არსებობს, რომ კონკურენცია გავუწიოთ იმ ქვეყნების კლუბებს, სადაც მუდმივად ვითარდებიან. უფრო და უფრო გვიჭირს, მაგრამ რაც ხდება მაგალითად ბათუმში, დამოკიდებულება გულშემოყრისთვის, ახალი სპონსორის, რასაკვირველია იძლევა საფუძველს ეს „გადადოს“ სხვა ქალაქებსაც. ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში მოედანზე, შედეგში აისახება, რაც სამწუხაროს ვერ გვაკლია. იმედს ვიტოვებ რომ ამ კუთხით მდგომარეობა გამოსწორდება.

ესაუბრა ნუზუარ ასათიანი

ზვიად ცეცხლაძის სახელობის ტურნირში თბილისის 35-ე სკოლის გუნდმა გაიმარჯვა



სამ დღეს მიმდინარეობდა სოფელ ბახვში ცნობილი მეცენატის ზვიად ცეცხლაძის სახელობის ხსოვნის ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც თბილისის, ბათუმის, ქობულეთის, ოზურგეთის 8 გუნდის 2006-2007 წლებში დაბადებული ფეხბურთელები მონაწილეობდნენ. ფინალში ერთმანეთს თბილისის 35-ე სკოლის და ოზურგეთის სპორტსკოლის გაერთიანებული გუნდი დაუპირისპირდნენ.

უფრო გამოცდილმა სტუმრების გუნდმა მასპინძლები 2:0 დაამარცხა და თასს დაეუფლნენ. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ქობულეთელებმა ნატანებლები დაამარცხეს. გამარჯვებულებს და პრიზორებს ვილდოები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლევან კობიაშვილმა**, პარლამენტარმა **არჩილ თალაკვაძემ** გადასცეს.



სოფელ შრომაში ბრძნულ-რომაულ ჭიდაობაში შაქრო ტულუშისა და იური სომარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართა



სოფელ შრომაში არსებულმა ჭიდაობის სექციის სპორტსმენებმა

შეჯიბრზე ცხრა მედალი მოიპოვეს. სპორტსმენები ასპარეზობაში მონაწილეობას საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან: ხაშურისა, ჭიათურისა, ქუთაისისა, სენაკისა, ხობისა, ხულოდან, ბათუმისა, ლანჩხუთისა და სოფელ ზოტდიან იღებდნენ. შეჯიბრში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქალაქისა თუ სოფლის ყველა საჭიდაო სექცია იყო

ჩართული. ტურნირში მონაწილეობა 2008-2010 წლებში დაბადებულმა ჭაბუკებმა მიიღეს. ასპარეზობა დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. სპორტულ ღონისძიებას ორგანიზება ოზურგეთის სპორტულ-გამაანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებამ გაუწია.

კობიაშვილის მარნის ღვინო „ჩხავერი“ ღვინის საუკეთესო ღვინის ტიტული დაიმსახურა

ალიონი. თბილისში ღვინის ფესტივალი გაიმართა, რომელშიც 430 ღვინო მონაწილეობდა. ღვინის საუკეთესო ღვინის ტიტული - კობიაშვილის მარნის „ჩხავერი“ მიიღო.

გაზეთ „ალიონის“ დამატება „გურული ვაზი“ 2015 წელს წერდა კობიაშვილის ვაზის შესახებ.

„კობიაშვილი უჩხავეროდ იფიქრა, რაც მარანი უღვინოდ“ — თხრობა გაზეთის ერთ-ერთმა სტატიამ, რომელშიც თავის საკარმიდამო ნაკვეთში 4-წლიანი „ჩხავერის“ ნარეზობა დაგეგმილი იქნა. იგი 2 ნაკვეთში 1200 ჰექტარზე „ჩხავერს“ უწვდის. ნერგები საგურამოდან ჰქონდა ჩამოტანილი.

როგორც მაშინ ჩვენთვის გახდა ცნობილი, მათ კომპარტივი შექმნეს, რომელიც 9 ადამიანი არის გაერთიანებული. მათ ხელ-შეკრულება „კახურ ტრადიციულ მეღვინეობასთან“ ჰქონდათ გაფორმებული. მარნს, აგროტურისტულ ფესტივალზე „გურია 2018“ მეღვინეობის კობიაშვილის ღვინო წარმომადგენელი **დვით კობიაშვილი** თავისი მარნის ღვინით.

ამჯერად კი, კობიაშვილის ვაზისადმი პატივისცემა, გურული „ჩხავერის“ სიყვარული თბილისის ღვინის ფესტივალზე დადასტურდა. 430 მეღვინეს შორის „კობიაშვილის მარნის“ ღვინო იყო საუკეთესო.



სულთათანა

ომარ კეკელიძის გახსენება



საოცარი შრომის ნიჭი გადაზრდილი გქონდა ოჯახის წევრების, ნათესავების, ახლობლებისა და მეზობლების საოცარ სიყვარულში, რომლის მადლიერების განცდა დღესაც არის და იქნება თითოეულ მათგანში; დახმარებასაც ზომ თავისებური უშურველობა გააჩნია და შენ ეს არასდროს შეგშლია.

შენი დიდი ადამიანობის გამოხატულებაა ის სიკეთე, რომელიც ერთორად დაგებრუნდება თბილის მოგონების სახით.

უყვარდი ყველას. ეს შენი დაკრძალვის დღემ სევდითა და აღ-ალი ცრემლით დაადასტურა. კეთილი ბაბუას ხიბლით დაამასოვრდები სანდობასა და სესილიას.

კაცურად ატარე ამქვეყნიური სახელი და დაგვიტოვე ნათელი, რომელსაც ომარი კეკელიძე ჰქვია! ნათელი არ მოგკლვებოდეს საზუღაძო სამყოფელში.

შენი ოჯახი

უკვე ერთი წელი გავიდა... ძნელია შენი არყოფნით გამოწვეული სევდა გავითავისოთ. ბევრი რამ დაგვაკლდა: მოსიყვარულე მეუღლე, მზრუნველი მამა და ბაბუა, ოჯახსა და ეზოში მოფუსფუსე მშრომელი კაცი, რომელიც დღენადავ იღვწოდი. უხდება ექაღის უბანს ომარ კეკელიძის ხელით ნაშენი ქვის ყორე, რომელიც მარადიულად იქნება ოჯახის საძირკველიც და ნიშაც.

სამადლოვანი

გაზეთ „ალიონის“ რედაქციას

გთხოვთ, მომცეთ საშუალება, თქვენი გაზეთით უდიდესი მადლობა მოვასწერო ჩვენს ქალაქის ჯანდაცვის სფეროს მუშაკებს, რომლებიც კეთილსინდისიერად, პროფესიონალურ დონეზე ემსახურებიან პაციენტებს. ამ დღეებში მეც ვიყავი მათი რეგულირებით, თვალის ოპერაცია გამიკეთეს სასწრაფოდ.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ისინი, ვისაც ახლა დავასახელებ, თავიანთი საქმის დიდი პროფესიონალები არიან:

ოზურგეთის სოციალური მომსახურების მთავარი სპეციალისტი, ექიმი დავით მახარაძე, რომელიც, თავის ჯგუფთან ერთად, უამრავ სიკეთეს თესავს. ღმერთმა კვლავ შეაძლებინოს ამ ხალხს ანა-

ლოგიური საქმეები ჩვენი სოციალურად დაუცველი ადამიანების საკეთილდღეოდ.

აქვე განსაკუთრებული სამადლოვანი მინდა გამოვთქვა ოზურგეთში მოქმედი „თვალის კლინიკის“ თანამშრომლებისადმი. კლინიკაში შესვლისთანავე იგრძნობა, რომ აქ დიდი პასუხისმგებლობით ხვდებიან ნებისმიერ პაციენტს. ადვილი შესამჩნევია ის ფაქტიც, რომ კლინიკის დირექტორს, ქალბატონ თინათინ შავიშვილ-დვალაძეს თავის ირვლივ შესანიშნავი სპეციალისტები ჰყავს შემოკრებილი. ყველა უდიდესი პასუხისმგებლობით ასრულებს თავის მოვალეობას. დიდი მადლობა ოფთალმოლოგ ეკა რაფავას. რაც

შეეხება დამსახურებულ პროფესორს, ბატონ ალექსანდრე ალექსიძეს, ქედს ვინჩი მის წინაშე. მარჯვენა დაგელოცოს, ღმერთმა დიდხანს გამყოფოთ ჩვენი ერისა და ბერის საკეთილდღეოდ, ბატონო ალექსანდრე!

ოპერაციამ, მიუხედავად იმისა, რომ რთული აღმოჩნდა (ყოველ შემთხვევაში ჩემთვის), მშვიდობიანად და შედეგიანად ჩაიარა.

ასევე უღმესი მადლობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტს, ქალაქის მერიას, ბატონებს – კონსტანტინე შარაშენიძესა და ირაკლი სირაძეს გვერდში დგომისთვის.

ღმერთი იყოს თქვენი და სრულიად საქართველოს მფარველი!

იყიდება

ქ. ოზურგეთში, გამსახურდიას ქუჩაზე 2-სართულიანი, კეთილმოწყობილი კაპიტალური საცხოვრებელი სახლი. აქვს გარაჟი, ეზო 500 კვმ. დაგვიკავშირდით: (591) 15 57 57.

სკანვორდი



Grid for crossword puzzle with clues in Georgian. The grid contains various words and phrases related to the crossword puzzle.

№ 19-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – ვანტანგ ბლაგიძე; ვაიშვილი – ბე; ქალის სახელი – ციცი; პირველი სამნიშნა რიცხვი – ასი; განთავი – აისი; ტრიო, ანუ... – ლინია; მამაკაცის სახელი – ტიტე; ჩამონათვალი – სია; დედამისის ქული – ცა; ნაპოლეონის დედის სახელი – ლეტიცია; ოსეთი – ალანია; მდინარე პოლონეთში – ვისლა; მინანქარი – ემალი; ჩიკორი – ტანაჯორი; შენ რუსულად – ტი; ცხოველის ბეწვი – ბალანი; წამლის ფორმა – ტაბლეტი; ბოლო ნოტი – სი; ქიმიური ელემენტი – კალა; მაიმუნი – ყაფუზუნა; მიტოვებული ადგილი – ხარაბა; რეპტილია – ნიანგი; მწვერვალი სვანეთში – უშა; ... პუგაჩოვა – ალა; კედლის სანათი – ბრა; ყურძნის მტევნების ასხმა – აკილო; რძის ნაწარმი – დო; ... გოუნტერი – ანი; ვაზის ჯიშები – ჯანი; დედამიშვილი – და; ბულგარეთის დედაქალაქი – სოფია; ერთგვარი მღრნელი – ზაზუნა; ზმული ბალახი – ჩალა; მდინარე მაკაუნეთში – ავიდაყვა; ჩასაბერი ინსტრუმენტი – გუდასტვირი; მატემატიკური მეცნიერება – ალგებრა; ჯარისკაცის პალტო – ფარაჯა; პატარას ანტიპოდი – დიდი; ქალაქი რაჭაში – ონი; მდინარე ქართლში – იორი.

„ხარისხიანი სემპტაკლების თანხა უნდა მოვიპოოთ და საზოგადოება თეატრში მოვიზიდოთ“



საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე **გიორგი გვცხვირი** სტუმრად ოზურგეთის თეატრში იმყოფება. ჩვენ მას თეატრალური საზოგადოების საქმიანობის შესახებ ვესაუბრეთ:

გიორგი გვცხვირი: „- საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში სახელმწიფო თეატრებთან ერთად გაერთიანებულია ოცდაორი სახალხო თეატრი. ჩემ აზრით, არასწორია თეატრების დიფერენცირება სახალხო და პროფესიულ თეატრებად. უსამართლოდ იმეორება ძლიან სანტერესო კოლექტივები ასეთი სტატუსებით. სახალხო თეატრი არის პირდაპირი სამშვიდობო პროფესიონალი მსახიობების და მკურნალების აღზრდის პრექტორია.“

სახალხო თეატრებს, მაგალითად, საჩხერის თეატრს, ისეთი სპექტაკლები აქვს რეპერტუარში, რომ დღესაც კი ბევრ თეატრს შესაძლოა ენატრებოდეს მსგავსი.

თეატრალური საზოგადოება, ანუ როგორც ადრე ერქვა – საქართველოს დრამატული საზოგადოება, თავის დროზე დაფუძნდა 1881 წელს ილია ჭავჭავაძის,

ნიკო ნიკოლაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვანო მანაშაძის მერ. მათ წესდებაში დაზუსტებულია თეატრალური საზოგადოების როლი და ფუნქციები. აღნიშნული იყო საწევრო გადასახდის აუცილებლობა „არანაკლებ თუქნისა“, რაც ძლიან სერიოზული თანხა იყო. გარდა ამის საზოგადოებას ჰყავდა სპონსორები, მეცნატები, ქვემოქმედები. მათ შორის, გამორჩეულია დავით სარაჯიშვილი, რომელმაც სიკვდილის შემდეგაც უანდრბა დიდძალი ქონება ქართველ თეატრის მოღვაწეებს. ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დრამატული საზოგადოების საქმიანობას, ფაქტობრივად კულტურის სამინისტროს როლს ასრულებდა იმ ხანად, მღვარე საზოგადოებრივი ინსტიტუტია იყო, ქართულ ენაზე საუბარი ისმოდა სცენიდან, რაც მაშინ მნიშვნელოვანი იყო, ისე როგორც დღეს არის მნიშვნელოვანი გამართული ქართული სიტყვა გვესმოდეს სცენიდან.

ჩვენს გაერთიანებას სჭირდება საერთო ხაზინა, რომელიც როცა ჩავიბარებ, საწევროების საერთო თანხა ოთხი წლის მანძილზე ას ლარს შედგენდა. საზოგადოებაში დაწესებულია საწევრო თვეში 2 ლარი და ვასო ჩიგოვების ინიციატივით ვისაც მაღალი ხელფასი აქვს ხელფასის 0,5 პროცენტი. ამან გამართილა და ცხრა თვეში გვაქვს ჩვიდმეტი ათასი ლარი. ეს არის გამჭირვალე ანგარიში, საიდანაც თანხა ისრავება ოთხი მიმართულებით, რომელზედაც ახლავი მოგასწავნებთ:

დღეს ჩვენ ახალგაზრდა თაობა გვეზრდება და ძალიან მნიშვნელოვანია მათი თეატრით დაინტერესება. უნდა გვეჩინდეს ხარისხიანი სპექტაკლები, რასაც სჭირდება სადავმო ხარჯი, რისთვისაც სამინისტროს დაფინანსება მწირია. ამიტომ, ჩვენ გვინდა გავაკეთოთ რეგონული თეატრების

გაძლიერების ფონდი და შევძლოთ მათი სადავმო ხარჯის ზრდა.

რეგიონებში არსებული სამი საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის – იმერეთის, ქუთაისის თეატრის, ოზურგეთის თეატრისა და ფოთის – ნაწილობრივ დაფინანსება, თეატრალური საზოგადოების უწყინაღის ხარჯის შევსება, კრიტიკოსების პონორარები, საზოგადოების წევრთა დაჯილდოება – წახალისება.

ძირითადი აქცენტი გვაქვს რეგიონების თეატრებზე დაწესებულ პროექტზე „გაიანი თეატრალური საქართველო“. პროექტის ფარგლებში რეგიონის თეატრები ცვლიან სცენებს, მათ ვიზიტებში მონაწილეობას იღებენ მერები და არამარტო თეატრების, მერების ურთიერთმომხრობლიაც ღრმედება. ასევე შესაძლებელია პროფესიულმა თეატრებმა პარტონაჟი აიღოს სახალხო თეატრებზე და ისინი აქტიურად იყვნენ დაკავშირებული ერთმანეთთან. ამის გამოცდილება რამდენიმე ქართულ თეატრს უკვე აქვს.

შემდგომ პროექტს პირობითად ჰქვია „მეობრობის თეატრი“, რაც გულისხმობს ყოფილი საბჭოთა ქვეყნების თეატრების თანამშრომლობას. უკვე გაფორმებულია მემორანდუმები საქართველოს, ბელორუსიის, ლიეტუვის, აზერბაიჯანის თეატრალურ საზოგადოებებსა და ამ რეგიონების თეატრებს შორის. შედეგად – ბელორუსიის დრამატული თეატრი ერთკვირიანი გასტროლით და შესანიშნავი რეპერტუარით იყო ქუთაისში. ვიზიტი შეიცავდა მასპინძელი თეატრის სპექტაკლების ნახვასაც. იგი მღვე კაუნასის თეატრს უმასპინძლებს. ამ ქვეყნებში გასტროლით იყო ქუთაისის, ანალიკის თეატრები.

თეატრალური საზოგადოების განახლებიდან ექვსი თვის თავზე უკვე ხუთმა თეატრმა გაცვალ-გამოცვალა სპექ-

ტაკლები. ეს არ არის პატარა საქმე იმ სტატუსით სიტუაციიდან გამომდინარე, რაც დაგვევალა.

გვინდა მსახიობის სახლი აშენდეს ჩვენთან გადმოიტანეთ „ერთი მსახიობის თეატრი“ და ეს უკვე ჩვენი ბრენია. ჩვენ შევფარეთ შეზღუდული შესაძლებლობის პირთა ინკლუზიური თეატრი, იმედა შედეგა მათი თანამშრომლობა ძლიან ცნობილ მსახიობთან. ამას გარდა, მანანა სურმაგამ უნდა ავადინოს სპექტაკლი „მელოცვა რადიოთი“, ცველა სახელმწიფო და თეატრალური საზოგადოების წევრი სახალხო თეატრი ითამაშებს თითო სპექტაკლს საღალოზე მსახიობის სახლში. ეს იქნება საანგარიშო ჩვენება, განიხილვენ თეატრტიმოდინებები. შეიქნება ერთიანი სურათი სამომავლო საქმიანობის დასაგეგმად.

დიდი მადლობა ფონდს „ქართუ“ ბათუმის თეატრის რეაბილიტაციისათვის და

მიმდინარე სამუშაოებისათვის ოზურგეთში, ზუგდიდში, სენაკში... მადლობა პირდავად ბიძინა ივანიშვილს ამ კეთილშობილური ქველმოქმედებისათვის. მერამ, დაემატებ, თუ თეატრის სადავმო ხარჯი არ გაიზარდა, ეს შერბები დაგვრჩება უბრალოდ კარგად გარემონტებულ შერბად. ამ მიმართებით ბევრია გასაკეთებელი.

მოსავარებელია კანონის ზოგიერთი მუხლის უარყოფითი შედეგები, მათ შორის, თეატრში მომუშავე პენსიონერების მერ ხელფასის პარალელურად პენსიის მიღების შესაძლებლობის შექნა. ამანე მომუშაობის კომისია, გასაკეთებელი ბევრია.

ოზურგეთის თეატრის მრავალი წარმატების მომსწრე ვარ, 12 მაისს სერიოზული გასტროლი დაიწყო და დარწმუნებული ვარ ღირსეული გამარჯვებით დავებრუნდებ.

ლია კილაძე

ოზურგეთის თეატრის პრეს მამსახურის უფროსი

შუმენისა და ოზურგეთის თეატრებს შორის იმპორანდუმი გაფორმდა

16 მაისს, გაფორმდა ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი ოზურგეთის თეატრსა და შუმენის თეატრს, ნოდარ დუმბაძის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალსა და შუმენის ახალი ბულგარული დრამატურგიის ფესტივალს შორის.

შუმენის ფესტივალს საქართველოსა და აზერბაიჯანში წარმოადგენს ოზურგეთის თეატრის სამსატრო ხელმძღვანელი ვასო ჩიგოვძე, დუმბაძის ფესტივალის დამფუძნებელი და პრეზიდენტი, ზოლო დუმბაძის ფესტივალს წარმოადგენს ბულგარეთში, შუმენის

დრამატულ-თეატრული თეატრის დირექტორი, შუმენის ფესტივალის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი დიმიტრი დიმიტრიევი.

ფესტივალებსა და თეატრებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა და კოპორატიული სპექტაკლების შექნა იგეგმება.

16 მაისს, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლით „კოცნა“ შუმენის თეატრალურ ფესტივალში დაიხურა

სპექტაკლის შემდეგ დაჯილდოების და დაზურვის ცერემონია გაიმართა.



შპს „მეტალ ტექნიკა“ ბთავაზობთ!

შპს „მეტალ ტექნიკის“ საქმიანობის სფეროა ბანქანა-დანადგარებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების წარმოება; მოწყობილობები და დანადგარები ბანკუთმნილია სუბტროპიკული კულტურების: - ჩაის, ღაფნის, ბანდარინის და თხილის პირველადი გადამუშავებისთვის; პროექტი დაგეგმვაშია და სორტიმდებია ანახეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უშუალო მონაწილეობითა და მასთან თანამშრომლობით. **საპონტაჟტო პირი რამაზ მახარაბე. მობ. (599) 550 422. მისამართი: ოზურგეთი, ანახეული**



მზე, ღრუბელი +12+21 20 მაისი ორშაბათი	მზე, ღრუბელი +14+23 21 მაისი სამშაბათი	მზე, ღრუბელი +13+26 22 მაისი ოთხშაბათი	მზე, ღრუბელი +14+27 23 მაისი ხუთშაბათი	მცირე წვიმა +15+26 24 მაისი პარასკევი	მზე, ღრუბელი +14+26 25 მაისი შაბათი	მზე, ღრუბელი +14+23 26 მაისი კვირა
-------------------------------------------------------	--------------------------------------------------------	--------------------------------------------------------	--------------------------------------------------------	-------------------------------------------------------	-----------------------------------------------------	----------------------------------------------------

7 დღის ამინდის პროგნოზი